წელიწადი მეცხრე — № 450

პარასკევი, 22 ნოემბერი, 1874

# დროება

**გაზეთის ფასი**

გაზეთი: ერთი წლით — ექვსი მან., ნახევარი წლით — სამი მან., სამი თვით — ერთი მან. და ხუთმეტი შაური, ერთი თვით — სამი აბაზი.

წერილები ამ ადრესით უნდა გამოგზავნონ: Въ Тифлисъ, въ редакцію газеты „ДРОЭБА“.

**ხელის-მოწერა**

თფილისში: გაზეთის „დროების“ კანტორაში ქუთაისში: ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

გაზეთი შემდეგი ადრესით უნდა დაიბარონ: Въ Тифлисъ, въ контору газеты „ДРОЭБА“.

რედაქცია: ძველი ინსტიტუტის ქუჩაზედ, სოლომონ მირიმანოვის სახლებში.

კანტორა: იგ ოლის ბიბლიოთეკაში, სასახლის მეიდანზე, შაბუროვის სახლებში.

## შ ი ნ ა ა რ ს ი:

რედაქციისაგან. — ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო: ჩვენებური ვაჭრები და ვაჭრობა, — წვრილი ამბები. — „დ რ ო ე ბ ი ს“ კორრესპონდენცია: წერილი რედაქტორთან, — მუხადიდიდგან. — რ უ ს ე თ ი: პეტერბურღში რა ამბავია? — წვრილი ამბები. — უ ც ხ ო ქ ვ ე ყ ნ ე ბ ი: საფრანგეთი, — გერმანია, ესპანია. — ს ა მ ა რ თ ა ლ ი: Ი. Ი. ლაზარევის საქმე (თამამშოვის ქარვასლის დაწვა). — ნ ა რ ე ვ ი. — განცხადება.

ფ ე ლ ტ ო ნ ი: ლუკმა გავარდესო, ჯამში ჩავარდესო. — აკაკის.

## რ ე დ ა ქ ც ი ი ს ა გ ა ნ

დიდ ბოდიშს ვიხდით ჩვენს ქუთათურ მკითხველებთან, რომელთაც, როგორც შევიტყვეთ, წარსული ნომერი გაზეთისა თავის დროზე არ მოსვლიათ. ეს ჩვენი ფოთი-თფილისის რკინის გზის ადმინისტრაციის წყალობა გახლავთ, რომელსაც დავენდევით და გაზეთი გამოვატანეთ.

# საქართველო

## ჩვენებური ვაჭრები და ვაჭრობა

ამ კვირის ორშაბათს თფილისის ოლქის სასამართლოში ერთი ძლიერ საინტერესო და საზოგადო ყურადღების ღირსი საქმე დაიწყო. ჩვენ ვამბობთ იმ საქმეზე, რომელიც თამამშოვის ქარვასლისა და თეატრის დაწვას შეეხება. წინასწარმა გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ ხსენებულს ქარვასლაში ცეცხლი შემთხვევით და გაუფრთხილებლობით არ გაჩენილაო, განზრახვით წაუკიდეს მას ცეცხლიო.

გამოძიებამ დამნაშავეც აღმოაჩინა: ვაჭარი ლაზარევი, რომლის დუქანშიაც პირველად გაჩენილა ცეცხლი.

ამ საქმის თაობაზე სამოცდა თოთხმეტი მოწამეა გამოწვეული. ორშაბათს, პროცესსის დაწყებაზე, ოლქის სასამართლოს იმდენი ხალხი მიაწყდა, რომ სხდომის გახსნამდი ერთის საათის წინათ სივიწროვისაგან კაცს სული ხდებოდა.

კერძოთ აღებული ეს ფაქტი მაგდენათ ყურადღების ღირსი არ არის. ვსთქვათ, წინასწარი გამოძიებისა და ბრალმდებელი აქტის აზრი გამართლდა; ვსთქვათ, დარწმუნდნენ იმაში, რომ უფ. ლაზარევმა, ხუთმეტი ათასი მანეთის ასაღებად, ოთხი ათასი მანეთის საქონელს ცეცხლი წაუკიდა. ვიმეორებთ, ამ ფაქტს თუ განკერძოებულად ავიღეთ, მაგდენი მნიშვნელობა არ ექნება.

მაგრამ საქმეც ის არის, რომ ეს შემთხვევა კარგათ გვიჩვენებს იმ საზოგადო მდგომარეობას და ვაჭრობის მიმართულებას, რომელიც ამ ჟამად ჩვენში ჰყავის.

არსად არ მიდის ვაჭრობის საქმე ისე უნორმალოთ, ისე უწესოთ, როგორც ჩვენში. არავინ არ ვაჭრობს და აღებ-მიცემობს იმ ნაირის უზნეო და ცუდი საშუალებით, როგორც ჩვენებური ვაჭარი.

მეცნიერები ამბობენ, რომ ვაჭრობას ყველგან ერთი და იგივე ხასიათი აქვსო; რომ ვაჭრობა თითქმის ყველგან და მუდამ მომეტებულ ნაწილად მოტყუება არისო. „რაც შეგიძლია იაფად იშოვენე და რაც შეგიძლია ძვირად გაასაღე“. ეს არის ვაჭრების სწავლა-ჭეშმარიტებაო.

ევროპიელ, განათლებულ ქვეყნების ვაჭრებზე ამის თქმა ისე თამამად არ შეიძლება, როგორც ჩვენებურებზე.

განათლებული ქვეყნების ვაჭარი თავის დღეში არ მიმართავს ისეთ საშუალებებს, როგორსაც მუდამ დღე ვხედავთ ხოლმე ჩვენში. იმას უფრო სწავლისა, მეცნიერებისა, ჭკუისა და მოხერხების შემწეობით მიჰყავს თავის ვაჭრული საქმე და ანგარიშები. რასაკვირველია, იმის მიზანიც გამდიდრებაა; მაგრამ ამისათვის ყველა სახსარი გამოსადეგათ და სუფთად არ მიაჩნია. წვრილმანი, საძაგელი მოტყუილება ხამი მუშტრისა და გაბრიყვება იმას ჩვეულებათ არა აქვს.

ეს არ ითქმის საზოგადოთ ჩვენებურ ვაჭრებზე.

თავის გამდიდრებისათვის, ჩვენებური ვაჭარი არაფერს არ დაზოგავს, ყველა სახსარი კარგია, ყველა გამოსადეგათ მიაჩნია. ნათასავის, ტოლ-ამხანაგის, ნაცნობისა და უცნობის მოტყუება — ყველა გამოდგება. მაგარი მაუდის მაგივრად — დამპლის შეტყუილება, კარგი ფქვილის მაგივრად — გაფუჭებულის გასაღება, მანეთში მანეთის სარგებლის აღება, — ყველა ეს ვაჭრობათ, კარგ, მოხერხებულ ვაჭრობათ მიაჩნია!

რამდენი მაგალითებია ჩვენში, რომ რომელსამე ვაჭარს სადმე მიყრუებულ სოფელში გაჭირებული გლეხი ჩაუგდოს ხელში თუმანი ესესხებინოს და მეორე წელს ორი და სამი თუმნის რამე წაერთმიოს და გაეყიდოს? რამდენი მაგალითებია იმის მზგავსი, რომელიც ამ სამი-ოთხი წლის წინათ მოხდა ქალაქში, როდესაც ერთ ვილაცა მოხერხებულ კაცს მეორესათვის ათას რვაასი მანეთი მიეცა და სამ წელიწადში ეს ფულები ისე გაიზარდა, რომ 17,000 მანეთამდი შეიქნა? ამბობენ, ამ ორ წელიწადში, ეს მესამე თუ მეოთხე მაგალითიაო, რომ ვაჭრებს თავიანთი მაღაზიებისა და სახლების ცეცხლის წაკიდებას აბრალებენ!

ძალიან კარგათ ვიცი, რომ „მგლის თავზე სახარებას ვკითხულობ;“ ვიცი, რომ ჩემი სიტყვა უდაბნოში მღაღადებლის სიტყვაა. მაგრამ...... მაგრამ ერთს ვიწინასწარმეტყველებ:

ამისთანა ვაჭრობას მკვიდრი საფუძველი არა აქვს. ვინც პირველი გამოჩნდება ახლანდელ ჩვენს ვაჭრებზე უფრო გონიერი, მოხერხებული და ცოტათი მაინც უპატიოსნესი — ჩვენი წარმოება და ვაჭრობაც, უეჭველია, იმის ხელში ჩავარდება.

„მოტყუებითა სოფელი არვისა მოუჭამია.“

ს. მესხი.

---

როგორც ამას წინათაც იყო გამოცხადებული, ამ თვის 18 თფილისის ქალაქის

---

# ფელეტონი

## „ლუკმა გავარდესო, ჯამში ჩავარდესო.“

„ჩვენი სატახტო თფილისი წაგვართვეს, ჩაიგდეს ხელში სომხებმაო! ამან კიდევ თქვენი ჭირი წაიღოს; მაგრამ საქართველოში შიგა-და-შიგ რაც უპირველესი მამულები იყო, დაისაკუთრესო და სხ....“

აი საყვედური, რომელიც ხშირათ შეგიძლიანთ გაიგონოთ გულ-დამწვარ ქართველებისაგან! მაგრამ არის კი ამ საყვედურში რამე საფუძველი? არა ვითარი, თუ კი გაიხსენებთ ერთს ჩვენებურ ჭკვიანურ ანდაზას: „ლუკმა თუ გავარდესო, ჯამში ჩავარდესო!“ რაც კი ჩვენის უხეირობათა და ხელ-მოშვებათ ჩვენგან დაიკარგება, უმჯობესია, რომ ბედმა ისევ სომხებს ჩაუგდოს ხელში!....

რაინდული დრო თუმცა დიდი ხანია წავიდა, მაგრამ ჩვენ, ქართველები კი, მაინც არ ვიშლით რაინდობას: მუშაობას, შრომას ვერიდებით და ისიც აღარ გვინდა, რომ სხვები რამეს იძენდენ და ჩვენ დანაკარგსაც ხელში იგდებდენ. ბატონობა არ არის ეს მაშ რა არის? და მერე როგორი უსამართლო და უსაფუძვლო ბატონობაც!....

ქართლელ ხალხს ჯერ სძინავს, გამოღვიძებას არ აპირობს, და იმერეთი, თუმცა ფხიზელია და მუშაობს, მაგრამ შეძენისათვის კი არა, სხვისი დაკლებისათვის, ასე რომ თეითო ყველას მდევნელი და მტერია და ყველა ერთად კი თვითოსი. გურული კოხტაობას უნდება, და ჩანგურს მისის ღიღინ-მრავალ-ჟამიერებით; მეგრელი თავის მაღალსა და ხერხიან ნიჭს წვრილმანობაზე ჰხარჯავს და სვანს ჯერ კიდევ კომბალი არ გაუგდია ხელიდამ. ამ გვარ მდგომარეობაში, რომ სომხებმა ერთმანერთს ძმურათ ხელი მოჰკიდონ, ერთმანერთს დაეხმარონ და არათუ თავისი რამე დაჰკარგონ, ჩვენი დანაკარგიც მონახონ, საყვედურს ვემართლებით?

რომ რამე მატერიალური სარგებლობა შეეძლოს, დარწმუნებული ვარ, რომ სომხები ჩვენ დედა ენასაც ხელში ჩაიგდებდენ და მაშინ ნაცვლად მისსა, რომ ჩვენ ჩვენი ქართული ენა არ დაგვეკარგა, დავიწყებდით საყვედურს, თავის გასამართლებლათ: „წაგვართვეს ჩვენი დედა ენა სომხებმა, ჩაიგდეს ხელში, დაისაკუთრეს და სხ.“

ღვთის მადლით, ნიშნებს ახლაცა ვხედავთ: ქართული წიგნები ვენეციაში სომხებისაგან იბეჭდება; რაც ერთს ხიზამბარელ ტერ-ტერას სომხურიდამ, თუ ლათინურიდამ, თუ სხვა ენებიდამ ქართულათ უთარგნია, იმდენი ქართველებისაგან მეთორმეტე საუკუნის აქეთ რიცხვით არა დაწერილა რა. აქ ვამბობ მე მხოლოდ რიცხვზედ და არა ღირსებაზედ, აქ მე შრომა მაქვს სახეში. — რაც ტერ-დავით იარალიანცს კომედიები აქვს მშვენიერ-ქართულით ნათარგმნი, ჩვენ საზოგადოთ ახალ განათლებულებს სიზრმათაც არ მოგვჩვენებია. ეს რისი მიზეზია? მისი რომ ისინი სომხები არიან, შრომის მოყვრენი და ჩვენ კი ქართველები — რაინდები!!?..

დიდი ხანი არ არის, რაც ქუთაისში გაჩნდენ სომხები და თუმცა მათი რიცხვი ძალიან მცირეა, მაგრამ ჩვენს გასაკეთებელ საქმეებს კი ხშირად ისინი აკეთებენ. — მაგალითად, წარმოდგენების შესახებ ვიტყვით, რომ ისინი ხშირად არდგენენ ხოლმე ქართულ ენაზედ პიესებს.

თუმცა ენას კი სომხურათ უქცევენ, მაგრამ თამაშობით კი მშვენიერათ თამაშობენ ხოლმე. აი ამას წინეთ წარმოუდგენიათ უფ. სუნდუკიანცის შესანიშნავი კომედია „პეპო.“ ამბობენ, რომ საუცხოვოთ წარმოადგინესო და მე კი არ მქონდა შემთხვევა, რომ დავესწრებოდი და ამისათვის ჩემის მხრით ვერას ვიტყვი. — მაგრამ ამ კვირას, რომ სცენის მოყვრეებმა სომხებისავე დახმარებით (გთხოვთ ამას ყურადღება მიაქციოთ: სომხების დახმარებით ქუთაისში) ოსტროვსკის პიესა „შემოსავლიანი ადგილი“ წარმოადგინეს, იმას კი დავესწარ და კიდეც ვიტყვი მაზედ ორიოდე სიტყვას.

ათს ამ თვეს ერთმა მტკაველმა აფიშამ გვაუწყა, რომ სცენის მოყვარენი წარმოადგენენ კომედიას „შემოსავლიან ადგილს.“ ჩვენ მეტად გვეუცხოვა, რომ აფიშაში ვერ ვნახეთ გამოცხადებული სახელი აქაური გამოჩენილი მოთამაშეებისა. მაგალითებ ეფროსინე ქლდიაშვილისა, ვ. აბაშიძესა და Თ. ლეჟავასი. მაგრამ, ჩვენგან მოულოდნელად, მშვენიერად წარმოადგინეს ის პიესა საზოგადოდ. თამაში მართლა ხელოვნური იყო, მაგრამ ენა კი ჭრელ-ქართული: სომხური კილო, იმერული, გურული და რუსული ერთმანეთში იყო არეული: ხშირად ისმოდა შემდეგი სიტყვები: უბედურმა ხარ, მაქანეი, ისეთ, წავხდი და სხვანი; მაგრამ მშვენიერმა თამაშმა ენა ყველას დაავიწყა. არამიანცის ქალს რომ ცოტა სომხური კილო არ ეხმარა, მართლა რომ შესანიშნავად ითამაშა. ბარხუდარიანციც საუცხოვო იყო, მაგრამ საზოგადოთ ამ ნიჭიერ მოთამაშეს ერთი ზნე სჭირს: პირს მანჭავს მაშინ, როდესაც ისეც სასაცილო სახე აქვს და მითი ამჟავებს მიმიკას. სხვებზედაც ეს შეიძლება სთქვას კაცმა, რომ ყველამ კარგათ ითამაშა.

მაგრამ იმ ღამის პირველობის გვირგვინი კი ეკუთვნის ტერ-სტეფანოვის ქალს, რომელმაც მართლა რომ დიდი ნიჭი გამოიჩინა; მაგრამ მის საზოგადოთ თამაშზედ გადაწყვეტით ვერას ვიტყვით, რადგანც მეტჯერ ის არ გვინახავს სცენაზედ. ვფიქრობთ კი, რომ საზოგადოთ მშვენიერი მოთამაშე უნდა იყოს.

ხალხი ბევრი იყო. მთარგმნელებს გამოუძახეს მადლობის სათქმელათ.. — დასასრულ კიდევ გავიმეორებ: „ლუკმა გავარდეს და ჯამში ჩავარდეს!“ რადგანაც ჩვენ ვერ ვახერხებთ, თუ არ სომხების შემწეობით პიესის წარმოდგენასაც ქართულად, მაშ მათი გზა მაინც დაილოცოს....

აკაკი

გამგეობაში ამორჩევები დაიწყო. პირველ დღეს, წარსულ სამშაბათს, პირველი განყოფილების 32 კაცმა 24 ამომრჩეველი ამოირჩიეს. ესენი არიან:

თ. ირაკლი გრუზინსკი, რომელსაც 27 თეთრი კენჭი ამოუვიდა, ნ. დ. ზუბალოვი — 27, ა. ე. მატინოვი — 27, პ. ა. ჩიტახოვი — 25, ლ. ქ. ელიმირზოვი — 25, გ. ნ. სუნდუკიანცი — 25, ი. ნ. ხანჯიევი—24, ე. ო. ცურინოვი -- 24, ა. ა. ხარაზოვი—24, ა.ა. ფრიდონოვი—24, გ. მ. ენიკოლოფოვი — 23, ს. ი. ჯაყელი — 23, ვ. ი. სურგუნოვი — 22, ა. ლ. თაიროვი - 22, გ. ს. თამამშოვი -- 22, ა. ს. ქორღანოვი—22, ა. ი. ზუბალოვი—21, ა. ო. ზალცმან — 20, ე. გ. ფრიდონოვი —20, გ. ს. აბესალომოვი—20, ს. რ. შახნაზაროვი — 20, ა. ი. უარაევი 20, ი. ი. ავერკიევი — 20.

ოთხშაბათს დაიწყეს მეორე განყოფილების ამორჩევები და შემდეგ იქნება მესამისა. იმედი აქვთ, რომ სულ ყველა ამომრჩევლების (72) კენჭის-ყრა ამ კვირაში გათავდება.

***

„მშაკის“ რედაქციამ წარსულ ორშაბათს, ქალაქის ამორჩევების წინ, ნახევარი ნომერი გამოსცა. ამ ნომრის მოწინავე სტატიაში, რედაქცია, სხვათა შორის, ქალაქის მესამე განყოფილების ამომრჩევლებს ურჩევს, რომ, რადგანაც ისინი მშრომელი და ღარიბი ხალხია, ამისგამო ისეთი კაცები ამოირჩიონ ქალაქის გამგეობაში თავიანთ წარმომადგენლებად, რომელთაც იციან იმათი მდგომარეობა და დახმარებაც შეუძლიანთ. მდიდრები მდიდრებს ირჩევენო, ისინი ქეიფიანათ ატარებენ დროს, ღარიბების დარდი არა აქვთო და სხ. თქვენ კი თქვენი თანამგრძნობი კაცები უნდა აირჩიოთო.

ეს სიტყვები, როგორც ზევით ვთქვით, მესამე განყოფილების ამომრჩევლებისადმი არის მიმართული, რომელთაც თავიანთი 24 წარმომადგენელი დეპუტატი (გლასნი) დღეს, პარასკევს, და ხვალ უნდა ამოირჩიონ.

***

თფილისის საქალებო გიმნაზიასთან საქალებო კურსები გაიხსნა, რომელიც სალამ-სალამობით იკითხება, 5 საათიდამ ვიდრე 8-მდი. ჰკითხულობენ: უფ. ალბრეხტი—ალგებრასა და გეომეტრიას, არეანიტაკი- ისტორიულ გრამმატიკას, ვისლოცკის ქალი—ფრანცუზული ენის პრაქტიკულ კურსსა, ზან—ნემეცურ ენას. ფასი 12 ლექციისა 4 მან.

***

ვლადიკავკასის ოლქის სასამართლოს პროკურორთან ამავე სასამართლოს პრისტავი მისულა ამას წინათ და რაღაც ლაპარაკის შემდეგ, სილა გაურტყამს. ამბობენ, ეს პრისტავი პროკურორზე გაჯავრებული იყოო, რადგან თავის სამსახურიდამ გამოგდებას იმას აბრალებდაო. საქმე ამით არ თავდება:

პრისტავის სახლს ყარაული მიაყენეს, რომ არსად წასულიყო. მაგრამ ის გამოსულიყო შინიდამ და სადღაც წასვლას აპირებდა. ყარაულმა მიაძახა თურმე—ნუ მიდიხარო. პრისტავს არ გაუგონია და ამის გამო ყარაულს აულია და თოფი უსვრია. ამბობენ, ტყვიამ მხოლოთ ხელი გაუფუჭა... სიკვდილით არა უშავს რაო.

***

თემირ-ხან-შურაში ახალი საქალებო პროგიმნაზია გაუხსნიათ.

***

დუშეთიდამ მოგვივიდა ამბავი, რომ, იქაური საზოგადოების თაოსნობით, იქ პატარა საქალებო შკოლა გაუხსნიათ; ამ შკოლის სასარგებლოთ, როგორც გვითხრეს, დუშეთშივე მალე ქართული წარმოდგენის გამართვას აპირებენ.

***

ს. —პეტერბურღის ერთს პროფესსორს, კესლერსა, ერთს იქაურ სამეცნიერო საზოგადოებაში ულაპარაკნია, რომ იმ თევზების გამოკვლევით, რომელნიც შავსა და კასპიის ზღვაში იპოვებიან ეხლა, ნათლად სჩანსო, რომ ერთ დროს ეს ორი ზღვა შეერთებული უნდა ყოფილიყოო. და ეს ორი ზღვა მაშინ ჩრდილოეთ ოკეანესთანაც შეკავშირებული უნდა ყოფილიყოო. გეოლოგიური გამოკვლევები გვიმტკიცებენო, რომ შავი და კასპიის ზღვა დიდი ხნის განშორებულნი უნდა იყვნენო და მხოლოთ მას შემდეგ შავი ზღვა ღედამიწის შუა-გულ ზღვასთან უნდა შეერთებულიყოო.

---

## „დროების“ კორრესპონდენცია

---

წიგნი რედაქტორთან

უფ. რედაქტორო! რომ თქვენ არ გამოგეწვიეთ, ჩემი მოწინააღმდეგე კორრესპონდენტების პასუხის გასაცემად „დროების“ მე № 447, უნდა გითხრათ მართალი, არავის არ გავსცემდი პასუხს. იმერეთის ეპარხიაში თითქმის 390 კრებულის შტატია. ამ კრებულში მხოლოდ ერთი კრებული არ ეთანხმება ჩემ ხმას და დანარჩენი კი სულ. მართალია, თქვენ ექვსი პირიდამ მოგსვლიათ ჩემი საწინააღმდეგო კორესპონდენციები, მაგრამ ამ ექვს პირს შეადგენს ერთი კაცი, რომელიც როგორღაც ძლიერ გაცხარებულია. ყოველი მკითხველი უნდა დარწმუნდეს მათი სუსტი მსჯელობიდამ, მათივე უსაფუძვლო ბოდვაში. მაგრამ სიმართლის გამოჩენისათვის ვიტყვი კიდევ ორიოდე სიტყვას, რომელსაც იმედი მაქვს, გამოუკლებლად მიიღებთ და დაბეჭდავთ თქვენს გაზეთს, „დროებაში“.

1) ყველა ჩემი მოწინააღმდეგე კორრესპონდენტები აშკარად სტყუვიან, რომ სობოროს კრებულის მღვდლებზე სოფლელი მღვდლები უმეტესად შეძლებულნი იყვნენ. სოფლელ მღვდლებს 500, 700 და 800 მ. როგორც სობოროს კრებულის მღვდლებს ჰქონებია, უ. †-ის სიტყვებით, არსად არა ჰქვსთ მრევლიდამ შემოსავალი. ამაზე ვგონებ ყველანი მეთანხმოს. მე ჩემს სტატიებში ვსთქვი: ქუთაისის სობოროს კრებულთაგან მღვდლებს ათას მანეთამდინ შემოსავალი ჰქვსთ წელიწადში მეთქი. ეა მე უსაფუძვლოდ არ მითქვამს. გინდათ ეს დაგიმტკიცოთ? ადვილი საქმეა. დეკანოზს, უ. †-ის სიტყვით, სობოროდამ ყველა შემთხვევითი აშკარათ წელიწადში ჰქონებია 800 მ., 700 მ. იღებს იმ სახლში, რომელშიაცა ქუთაისის აზნაურების დეპუტატის კრება არის გახსნილი. 466 მ. 60 კ. იღებს სასულიერო სასწავლებლის სამმართველოდამ ოთხ, სადუქნედ მოწყობილ, ოთახებში, რომელშიაც დღეს მოსამზადებელი კლასი არის გახსნილი. 300 მ. იღებს, როგორც ზედამხედველი სამთლის სავაჭრო დუქნისა; საბლალოჩინო შემოსავალს და სხვებს თავი დავანებოთ, მაგრამ მაინც მისი შემოსავალი ყოფილა 2266 მ. 60 კ. წელიწადში. კარგი მოანგარიშე არ არის ის კაცი, რომელიც ამბობს, რომ დეკანოზს იმდენი შემოუდის, რომ მჭადს და ღვინოს ძლივს სყიდულობსო?

აეილოთ კანდელაკი: 700 მ. ხომ ყველა შემთხვევითი შემოსავალი სობოროდამ ჰქონებია, უ. †-ის სიტყვებით. 420 მ. ხომ როგორც მასწავლებელი სასულიერო სასწავლებელში ჯამაგირს იღებს? როგორც ქალების ზავედენიის ეკკლესიის მღვდელი და რამოდენიმე გაკვეთილების მიმცემი იღებს 200-დმდე. სხვა გვარმა შემოსავალმა ქირი მოგჭამოს. მაგრამ მაინც ხომ შესდგა მისი შემოსავალი 1320 მანეთამდე? დანარჩენი მღვდლები თვითეული იღებს ხუთას-ხუთას მანეთს. ერთი სილაზე უ. მრევლოვის მოსამზადებელ სასწავლებელში აძლევს უროკებს, რომელშიაცა იღებს ჯამაგირს ვვარიანათ. და მეორე ბატალიონის ეკკლესის მრევლიდამ სარგებლობს და სახლის ქირასაც იღებს სამას მანეთამდე. ამის შემდეგ შეიძლება სთქვას ვინმემ, რომ სოფლის მღვდლებმა კი უნდა იხადოს სასწავლებლისათვის ფულებიო და სობოროს კრებულის მღვდლებმა არაო? ეს შემოსავალი თითოეულს წინეთაც ჰქონდათ და ეხლა მაინც და მაინც ბევრი არა მომატებიათ მათ.

2) თუ სამი თავისუფალი ოთახი თვითონ სასწავლებლის სახლში მოინახებოდა, რატომ ამ ოთახებში და ხელთუფლიშვილის სახლში არ დასტიეს შაგირდები? თუ ილაზე წავიდნენ ოთახის საქირავოთ, განა იმ სიშორეზე უკეთეს და იაფათ ვერ იშოვიდნენ, რომ ოთხ სადუქნე ოთახში სამი წლის განმავალობაში 1400 მ.ნეთის მიცემა არ განეზრახათ? „რადგან სობოროზე ოთხი ოთახის აშენება 1400 მანეთად არ შეიძლებოდა, მიტომ დავიქირავეთ ოთხი ოთახი სამის წლის ვადით 1400 მანეთადო, ამბობენ. რა კარგი ლოღიკური აზრი არის! ამისთანა უხეირო აზრი მართლა ამისთანა დაობებული ტვინის მექონე კაცებთაგან არის მოსალოდნელი, როგორც ჩემი მოწინააღმდეგენი ბრძანდებიან. მომცენ მე 1400 მ. და ისეთ დაჯღარკულ და ბრუნდ ოთახებს კი არა, როგორც არის დეკანოზ ბამრეკელოვისა, იმ ზომისას სწორს და უკეთეს ოთხ ოთახს ავაგებ სასწავლებლის სიახლოვეს ამ ფულით და სამუდამოდ სასწავლებელს დაუტოვებ. როგორი პირობაც უნდა სასწავლებლის სამმართველოს, იმისთანა პირობას დაუდებ ზალოგის წარდგინებით. თუ ამას არ იზამს სასწავლებლის სამმართველო, მაშინ მე სხვა ექვში შევალ.

3) რამოდენად უგუნური და უსაფუძვლო არის ჩემი მოწინააღმდეგე კორრესპონდენტების სიტყვები, რომ მღ. ლამბაშიძეს თავის თავი ძალათი აერჩევინებინოს, რადგან ის დეპუტატთაგანი არ იყოვო, ამის დასამტკიცებლად მოვიყვან მე იმა სიგელის პირს, რომელიც მის თავს-მჯდომარეობის აღრჩევაზე შეაყენეს დეპუტატებთა. აი იმ სიგელის პირი:“ სიგელი. 1874 წელსა 3 სექტემბერს. დეპუტატებთა მე-V111 იმერეთის სამღვდელოების ყრილობისა მოგვეცა წინადადება მე-V11 იმერეთის სამღვდელოების ყრილობის თავს-მჯდომარის ბ. მ. დ. ლამბაშიძისაგან, რათა აგვერჩიათ ამ ყრილობაზედ კანდიდატები თვის-შორის, თანახმად სასწავლებლის წესდებისა (§ 23) თავს-მჯდომარის თანამდებობაზე, მაგრამ ყრილობამ თვის შორის თავს-მჯდომარის კანდიდატი არავინ გამოარჩია და არც არავინ ამ თანამდებობაზე კენჭის ყრაში ჩასვლის მსურველი გამოჩნდა მათ შორის; ამისათვის ერთ ხმათ სთხოვეს ბ. მ. ლამბაშიძეს თავს-მჯდომარეობის მიღება ამ ყრილობაშიაც. ბ. მ. ლამბაშიძე დათანხმდა მათ თხოვნაზე. იყო კენჭის ყრა და გარდა ერთისა ყველა მსურველების ხმა აღმოაჩნდა. რასაზედა შესდგა სიგელი ესე ყველა დეპუტატების ხელის მოწერითა წარსადგენელად მისს ყოვლად უსამღვდელოესობისადმი ჯეროვანის განკარგულებისათვის.“ ხელ მოწერილია საქმის მწარმოებლისა და ყველა დეპუტატებთაგან. ამ სიგელზე რეზოლიუცია ყოვლად სამღვდელოსაგან არის დასმული ამ გვარი: „აღრჩეულს დეპუტატებთაგან ყრილობის თავს-მჯდომარედ ვამტკიცებ.“

ეხლა ხომ ცხადია ყველა მკითხველთათვის, თუ რამოდენათ უსაფუძვლო არის ის აზრი, რომელიც მღვდელს ლამბაშიძეზე შეუტანია, რომ მას ძალათი აერჩევინებინოს თავის-თავი თავს-მჯდომარედ სამღვდელოების ყრილობაზე. (§) 23 სასწავლებლის წესდებისა,მართალია ამბობს, ყრილობამ თვის შორის უნდა აღირჩიოს თავს-მჯდომარეო, მაგრამ ამ სიტყვებით უფლება ეძლევა, ყველა იმ პირებს, რომელნიც არა დეპუტატთაგანი ეჩრებიან მათ და გამოჩენილის ხმის მიცემით ითხოვენ აღრჩევას, უარი უთხრან დეპუტატებთა და არ მიიღონ იგი. თუ თვითონ დეპუტატები იწურვებენ გარეშე დეპუტატთაგან პირს, მაშინ ვის აქვს უფლება მათ დაუშალოს იმისი არჩევა, თუ გინდ არც ერთი ჯვარი არ ქონდეს და არც ერთობ მსხვილი კაცი იყოს...... მიხედით, მკითხველო რაში გამოუჩნდათ უკანონო მოქმედება ჩემს მოწინააღმდეგე კორესპონდენტებს? მათ გონიათ, რომ სასწავლებლის წესდება იმ პირს აძლევდეს ნებას თავს-მჯდომარედ ყოფნისას, რომელიც ტანით და წონით ყველაზე მეტია! ძველ დროში მართლა, როდესაც ხალხი უგნური ყოფილა, თურმე კაცებს და ცხოველებს უშველებელი დიდ სახისას უხატავდნენ, მისთვის, რომ მათი შიში და კრძალულება უმეტესად ჰქონებოდა ხალხს. მაგრამ დღეს ხალხი იმდენათ თვალ გახელილია, რომ ამისთანა უზარმაზარი კაცების შიში აღარ აქვთ. დღეს ტანს კი აღარავინ უყურებს და ყელზე ჩამოკიდებულს ორდინებს, არამედ საქმეს და სინიდისს. ერთ უკანონო მოქმედებად ის შერაცხეს ჩემმა მოწინააღმდეგე კორრესპონდენტებმა, რომ დეპუტატებთა მათგან სასწავლებლის შესანახავად ფულის გამოღება მოითხოვეს თუ მეტი არა იმოდენი მაინც, რამდენსაც იხდის საწყალი სოფლის მღვდელი....

ვიტყვი კიდევ ორიოდე სიტყვას უ. †-ის შენიშვნაზე.

ზოგიერთმა პირმა იცის, წაიკითხავს რამეს თუ არა გაზეთში, აიღებს კალამს ხელში, მიჩხაბავს, მოჩხაბავს თავის შენიშვნას და აზრს ხელად წაკითხულზე და ჰგზავნის რედაქტორთან დასაბეჭდათ! იმას ხომ არ ფიქრობს: მართალია თუ ტყუვილი მისი შენიშვნა? ოღონდ კი სთქვას ვინმემ: ამ კაცმა ამ კაცს კრიტიკა დაუწერაო! სახელს არ მოაწერს, მაგრამ მრთელ ქვეყანას ეუბნება, ეს მე დავსწერეო! ვითომ რა და მისი სტატია გავამტყუნე და ამისთანა მწერალი ვარო!.... სწორეთ ამისთანა კაცი ბრძანებულა უ. †-იც. წაუკითხავს თუ არა ჩემი სტატიები, აულია კალამი ხელში და დიდის მოფიქრების შემდეგ დაუჩხაბამს: სოფლელ მღვდლებს უმეტესად შეუძლია, ვინემ სობოროს კრებულსაო და დეკანოზსაო. სოფლელ მღვდელს რათ უნდა წაღები ფეხებზე, შემოახურევებსო, ან ტალახში ჩარჩებაო რათ უნდა ანაფორა კარგი, ეკალი დაუხევს. სოფ. სოფლელ მღვდელს 150 მ. ტანისამოსში დაეხარჯება და სხვა ჯიბეში რჩებაო! სობოროს კრებულს ბევრი სჭირდება, ჯიბეში არა რჩებაო. ამ დაწყევლილ სიძვირეში სასწავლებელს რას შეეწევაო! ამის დამწერს პოლემიკის დაწერა ისე ადვილი ჰგონებია, როგორც შუაღამის ლოცვის წაკითხვა! ეს შენიშვნა ისეთია, რომ ჩემგან არ ითხოვს გამტყუნებას; მაგრამ ის არის გასაკვირველი, რომ სობოროს მღვდლებს 120 მანეთისა და დეკანოზს 150 მან. ჯამაგირზე მეტი შემოსავალი არა ჰქონდა რა აქამდინო და ამისგან რას შეეწეოდნენ სასწავლებელსაო. მართალია ამბობენ, ოლაორით ნაშოვნი ფული ბარაქიანიაო, მაგრამ თუ ამის მეტი შემოსავალი არ ჰქონიათ, ეს 120 და 150 მანეთი ისე, როგორ გამრავლდა, რომ მათი მიმღებლები ამ ფულებით კიდევაც მშვენიერად ცხოვრობდნენ და ის მშვენიერი სახლებიც ააშენეს, რომელიც 3000 და 5000 მ. ღირს? უ. ეფშტეინისაგან თუ ისწავლეს ერთი მანეთის ათას მანეთად გადაქცევა, არ ვიცით, მაგრამ სანამ ეფშტეინი მოვიდოდა ქუთაისში, მანემდის აშენდნენ ის სახლები...

ამასთან ერთ ორიოდე კითხვას მივსცემ უ. †-ს და კიდევაც გავათავებ. თუ კი აგრე ადვილი საშოვარი იყო ფულები სოფელში, რა მიარბენინებდათ სოფლიდამ ქუთაისშიდ მათ, რომელნიც დღეს იძახიან: ჩვენ მრევლი არა გვყავს, ისე როგორც სოფლის მღვდელსაო, მათ მეტი შემოსავალი აქვსთო? რომელ სასწავლებლის წესდებაში სწერია ის, რომ ქალაქის მღვდელს ხიზილალა და ზუთხი თუ გაუძვირონ ანუ სხვა ეპარხიიდამ გადმოყვანილი თუ იქმნეს, ძველ დროიდამ, სასწავლებლის შესანახავ ფულს ნუ გადაახდევინებთო? მადლობა ღმერს, ეხლა მაინც შევიტყვეთ ყველაფერი. ეხლა ვგონებ მაინც დარწმუნდეს ჩვენი ძთავრობა სასწავლებლის შესანახავ ფულის გამოღებაზე, ვინ იყო წინააღმდეგი—სოფლელი მღვდელი თუ ვინ?.... შუბი ტომარაში არ დაიფარებაო, სწორეთ მართალია. სოფლელ მღვდლებს კი ეუბნებოდნენ: თქვენ ფულები უნდა გადიხადოთ სასწავლებლისა და სემინარიის თვისო; ჩვენ კი ბევრი გვჭირდება, არ შეგვიძლიაო.

X.

1874 წელს, ნოემბრის 18.

---

როგორც ადრევე გამოვაცხადეთ, ამ სტატიით ვათავებთ ამ საგანზე პოლემიკას; თორემ დარწმუნებული ვართ, თუ ავყევით, პასუხებსა და პასუხის-პასუხებს დასასრული არ ექნება; მთელ გაზეთს მოინდომებენ....

რედ.

---

მუხადიდიდგან, ნოემბერს 18

ის ხალხები, რომელთაც ძველად რამდენჯერმე ეპყრათ საქართველო, შეძლებისა დაგვარად, ცდილობდნენ, როგორმე მათი ჩვეულება და სარწმუნოება გაევრცელებიათ ჩვენში. და მართლაც, ჩვენში ახლაც ბევრ სოფლებში ვხედავთ იმ ხალხების ძველი ჩვეულების აღსრულებას; მაგ. მკითხავები, შელოცვა, პირუტყვების პატივის-ცემა, ჭურების ჩამოლოცვა და სხვა მრავალი.

დღეს მინდა გაგაცნოთ, თუ როგორ ასრულებენ სამეგრელოში ამ უკანასკნელ ჩვეულებას.

ყოვლად-სამღვდელოს იმერეთის ეპისკოპოზს წასრული წლის რევიზიის დროს სამეგრელოში დარჩომოდა ორი თუ სამი საბლაღოჩინო ურევიზიოთ, რომლის რევიზიისთვის მოვიდა ამ წლის ოქტომბერში. რევიზიის დროს ყოვლად — სამღვდელოს გაეგო, რომ მეგრელები ვითომ ქვევრს

თაყვანს სცემენ, და დაუწყო ხალხს ამის შესახებაც დარიგება. მე ამან და სხვანიც იქ მყოფნი ძალიან გაგვაკვირვა. ბოლოს მღვდლებმა საკუთრათ მოახსენეს მას საქმის გარემოება.

ხალხს ერთს დანიშნულ დღეს ქონია დანიშნული ლოცვა, რომელსაც „სამღრთოს“ ეძახიან; წირვის შემდეგ მოვა მღვდელი. მასპინძლის და ოჯახის უფროსი ან რომელიმე მათგანი სთხოვს, რომ მღვდელმა აღუსრულოს ლოცვა ქვევრის კურთხევისა. ამისთვის აქვსთ მიჩენილი, როგორც „წმინდა“, ერთი ქვევრი, რომელზედაც ყოველ წლობით მღვდელი ჩამოილოცავს ხოლმე. შეიძლება ეს „წმინდა“ ქვევრი ამ დროს უღვინოთ იყოს, მაგრამ მაინც სხვა რამ ჭურჭელში ჩაასხმენ ღვინოს და დადგმენ მის თავზე. შემდეგ მღვდელი იტყვის: „დიდითა წყალობითა შეგვიწყალენ ჩვენ, ღმერთო“, და სხვანი.

ამ ლოცვით ხალხს ჰგონია თავის დღეში ღვინო არ დაელევა. მაგრამ დიდი ხანია აქ ღვინო აღარ უნახავს აქაურ „წმინდა“ ჭურებს.

ეს ქვევრის ლოცვის ჩვეულება საზოგადოთ მთელს სამეგრელოში კი არა, მხოლოთ რამოდენსამე სოფელში დარჩენილა.

მუხადიდელი მღ.

# რუსეთი

## პეტერბურგში რა ამბავია?

წრევანდელი პეტერბურღი ცოტაოდნად წაებაძა 1869 წლის პეტერბურღს.

1869 წელს აქაურ უმაღლესს სასწავლებლებში მოხდა არეულობა. ამ არეულობის მიზეზი ის იყო, რომ სტუდენტები მთავრობასა სთხოვდნენ ბიბლიოთეკის, კასსისა და კრებების გამართვის ნებას. მთავრობა ნებას არ აძლევდა. ამან არივ-დარია აქაური სტუდენტების ცხოვრება. ზოგი სამშობლოში გაგზავნეს, ზოგი მხოლოდ გამორიცხეს, სტუდენტებმა გულის წადილი ვერ აისრულეს, და დასცხრნენ.

მას აქეთ აქაური სტუდენტები თავის ბედს დაემორჩილნენ. „მშვიდობა“ ჩამოვარდა. სტუდენტები თითქო გატკბილდნენ: იქცეოდნენ წყნარად, ნაზად, კანონიერად, მშვიდობიანად, მაგრამ...

მაგრამ წრეულს გაწყდა ეს სიტკბოების კავშირი. აი მიზეზი რა იყო:

ეს ორი წელიწადია, რაც აქაურს მედიკურ აკადემიაში ერთი პროფესორი (ციონი) დანიშნეს. ეს პროფესორი არ მოეწონათ სტუდენტებს. არ ვიცი, პროფესორია გასამტყუნარი, თუ სტუდენტები. ეს კი ვიცი, რომ წრეულს ერთს იმის ლექციაზედ შეიყარა ხუთასზე მეტი სტუდენტი და დაიწყეს ხველა, მუზიკით ცხვირის მოხოცვა, ფეხების ბაგა-ბუგი და როცა ლექცია გაათავა, ყველამ ერთი შტვენა და გადი! გადი! მიაყოლეს. თუმცა ამ ლექციაზედ ოთხი სუბ-ინსპექტორი თვალ-ყურს ადევნებდა სტუდენტებს, მაგრამ იმათმა გულ-მოდგინებამ ვერა გაარიგა რა.

აკადემიის უფროსმა ეს ამბავი უამბო უმაღლესს მთავრობას და ამ პროფესორის გამო დაჰკეტეს ის კურსი, რომელზედაც ის იმ შტვენის წინედ ლექციას კითხულობდა; ზოგიერთი სტუდენტები დაამწყვდიეს.

ამის გამო მთელმა აკადემიამ თავი გამოიდო, თითქმის ყველა სტუდენტები ამბობდნენ, რომ ის პროფესორი ჩვენცა გვძულსო და ჩვენც ვერიეთ იმის შტვენით გაცილებაშიო; ან ჩვენც დაგვამწყვდიეთ და ან ჩვენი ამხანაგები განათავისუფლეთო.

ხმა ისმის, რომ ამ საზოგადო სურვილის განცხადების გამო პოლიციასა და სტუდენტებს შუა შეტაკება მოხდაო.

ხმა ისმის, რომ ის პროფესორი აკადემიიდამ დაუთხოვნიათო და დამწყვდეული სტუდენტები გამოუშვიათო.

ხმა ისმის, რომ უნივერსიტეტშიაც, საცა ის პროფესორივე კითხულობს ლექციებს, სტუდენტებმა მოინდომეს იმისი იქიდამაც გაგდება და მიხვდნენ კიდეც სურვილსაო.

ნამდვილად ვიცი, რომ ამ არეულობის გამო ზოგს სხვა უმაღლესს სასწავლებლებში სტუდენტები მმართებლობასა სთხოვენ, 69 წელსავით, კრებების, ბიბლიოთეკისა და კასის ნებართვას.

თავი ეს არის და ბოლო ენახოთ—რა იქნება.

ს. პეტერბურღი, 17 ნოემბერს. ს.

---

რუსეთის გზათ მინისტრს კარგათ გაუგია—თუ რა მნიშვნელობა აქვს მთავრობისათვის ჟურნალ-გაზეთებს და როგორ შეუძლია იმათ ამ მთავრობას თავის მოვალეობის აღსრულებაში სამსახური გაუწიოს.

„მოსკოვის უწყებებში“ დაბეჭდილია სურვილი გზათ მინისტრისა, რომ ჩემთვის ძალიან სასიამოვნო იქნებაო, რომ გაზეთები ყოველთვის გამოაცხადებდნენო, როდესაც ან უბრალო ფოჩტის გზაზე და ან რკინის გზებზე რაიმე უწესოება და უბედურება მოხდებაო. მხოლოთ ამგვარის საშუალებით შეუძლია მთავრობას ეს უწესოებანი მოსპოსო და თვალ-ყური ეჭიროს განსაკუთრებით რკინის გზების კამპანიებზეო.

***

როგორც ამას წინათაც იყო ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი, წელს ნოემბრის დამდეგს პირველად იყო რუსეთში სალდათების გამოწვევა ახალი სამხედრო წესით. ეხლა იწერებიან, რომ სულ ყველა 21 წლის კაცები, რომელიც სალდათებად აუყვანიათ, 706,500 არისო.

***

ოდესიდამ იწერებიან რუსულ გაზეთებში, რომ ამ უკანასკნელ დროს იქ ვაჭრობამ ძალიან იკლოო; განსაკუთრებით პურით ვაჭრობა ერთობ შემცირდაო.

***

რეველი კორრესპონდენტი „ბირჟის უწყებებისა“ იწერება, რომ ჩვენს ქალაქში რუსებმა ერთი ისეთივე საზოგადოება შეადგინესო, როგორც აქაურ მკვიდრ მცხოვრებლებს აქვთო. საზოგადოებას ჰქვია სახელად „დამასაფლავებელი და შემწევნელი საზოგადოება“ და იმის მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ როდესაც საზოგადოების რომელიმე ღარიბი წევრი მოკვდება, საზოგადო ფულიდამ დაასაფლავებენ და იმის ცოლშვილსაც რაიმე შემწეობას მისცემენ.

***

ერთს გარუსებულ ნემეცს—ბოჰრანს—ისეთ-ნაირი მაშინა გაუმართავს, რომლის შემწეობითაც არათუ ქუჩების, ოთახებისაც ელექტრონული სინათლით განათებას ახერხებს. პირველად თავის გამოგონილი მაშინა ბოჰმანს პეტერბურღში გაუშინჯვინებია, და ეხლა, როგორც იწერებიან, ოდესსაში შემდგარა კამპანია, რომელიც ამგვარი განათების გასავრცელებლად და ყველა საჭირო მაშინების გასაკეთებლად განსაკუთრებული ფაბრიკის გახსნას აპირებს.

# უცხო ქვეყნები

## საფრანგეთი

როცა ჩვენ აქ ამ სტრიქონებსა ვსწერთ, ვერსალში ნაციონალური კრების სხდომები გახსნილი უნდა იყოს. ამ კრების გახსნას ეხლა დიდ მნიშვნელობას მიაწერენ; ამაზე არის დამოკიდებული საფრანგეთის ბედი და უბედობაო.

თითქმის საფრანგეთის ოფიციალურ გაზეთებშიაც კი სწერენ ამ უკანასკნელ დროს, რომ მაკ-მაჰონი ეპისტოლეს ამზადებს ნაციონალური კრებისთვისაო, რომელშიაც პირ-და-პირ მოითხოვსო, რომ კრებამ იმის უფლებები განსაზღვროს და კონსტიტუციური კანონები დაადგინოსო.

მთავრობა ამ გზას დაადგება. მაგრამ სხვა და სხვა პარტიებს სხვა გზები აქვს ამორჩეული. მაგ. ლეგიტიმისტები ამტკიცებენ, შვიდი წლით ეხლანდელი წყობის გაგრძელება საფრანგეთის ღირსებას ამცირებსო, კანონიერ საფრანგეთის მეფეს, გრაფ შამბორს, შვიდ წელიწადს მოცდა არ შეუძლიაო; ეხლავე უნდა მოიწვიონ ის საფრანგეთის ტახტზე ასაბრძანებელადო და სხ.

რესპუბლიკელები კი ამბობენ, რომ საფრანგეთი უიმისოთაც აღელვებულ მდგომარეობაშია, ვაჭრობა და წარმოება არ არისო, ხალხმა არ იცის—დღეს რა მმართებლობა ჰყავს იმას და ხვალ რომელი ეყოლება,—და ყველა ეს იმისაგან არისო, რომ ჩვენ ეხლა დაბოლოებული, მკვიდრი მმართებლობა არა გვყავსო. დარწმუნდითო, რომ ეხლანდელ კრებას არაფრის გარიგება არ შეუძლიაო; თავის ნებით უნდა წაბრძანდეს ის შინ, მიატოვოს თავის მოვალეობა, რომელიც ამდენი ხანიც ძალით და უკანონოთ მიითვისა და იმის მაგივრად ახალი კრება უნდა შესდგესო; მხოლოთ ამ ახალს ნაციონალურ კრებას შეუძლია საფუძვლიანი რისამე დადგენა საფრანგეთში, მმართებლობის ამორჩევა და კონსტიტუციური კანონების გამოცემა, რადგან ეს კრება ხალხისაგან პირ-და-პირ ამ საქმისთვის იქნება ამორჩეულიო.

მესამე უმთავრესი პარტიის—ბონაპარტიელებისათვის—ამ გვარი უთავბოლო მდგომარეობა საფრანგეთისა ყოველთვის სასარგებლოა და ამიტომაც ეს პარტია სრულიადაც არ სცდილობს, რომ იმათ ქვეყანაში ჯერ-ჯერობით, სანამ თავის პატრონის—პატარა ნაპოლეონის—საქმეებს გაარიგებენ, რამე საფუძვლიანი დამკვიდრდეს. რაც უფრო მომეტებული დრო გაივლის, ისა სჯობია იმათი გაიძვერობისა და ინტრიგებისათვის, უფრო ადვილად აუხვევენ ხალხს თვალსა.

— პარტიების მოლაპარაკება და მოძრაობა კიდეც დაწყებულა საფრანგეთში, ყველანი კრების გახსნისათვის სხვა და სხვა წინადადებებს ამზადებენ. სხვათა შორის, რესპუბლიკელები თავიდამვე იმ წინადადების შეტანას აპირებენ, რესპუბლიკის დამკვიდრებაზე, რომელიც ამას წინათ კაზიმირ პერიემ შეიტანა; თუმცა მაშინ კრებამ ეს წინადადება უარ-ჰყო, დიდი იმედი რესპუბლიკურ პარტიას არც ეხლა აქვს; მაგრამ ამას უფრო იმიტომ აპირებენ, რომ შემდეგ ერთი დამტკიცება კიდევ ექნებათ, რომ ეხლანდელ კრებას საფუძვლიანის არაფრის დადგენა არ შეუძლია, და იმის დათხოვნას მოითხოვენ.

## გერმანია

ნოემბრის 16 (4) ახლად გახსნილ გერმანიის რეიხსტახში სხვათა შორის იმაზედ იყო მოლაპარაკება—თუ რა ენაზედ უნდა იქნეს მსჯელობა იმ პატარა პარლამენტში, რომელიც, ახალი კანონის ძალით, ალზას-ლოტარინგიაში უნდა გაიხსნას. ერთი ალზასელი დეპუტატი კრებაში ამტკიცებდა, რომ მსჯელობა, ნემეცურ ენაზედ კი არა, ფრანცუზულ ენაზედ უნდა იქნესო, რადგან ფრანცუზული ენა დიდი ხანია ალზასელ-ლოტარინგელებისათვის სამშობლო ენად შეიქნაო და ნემეცური კი ყველას კარგათ არ ესმისო. ამ აზრსავე ამტკიცებდნენ ზოგიერთი პოლშელი (პოზნანელი) დეპუტატებიც. რეიხსტაღმა ხმის უმეტესობით უარ-ჰყო ეს წინადადება და გადაწყვიტეს, რომ რადგანაც გერმანიული ენა სახელმწიფო ენა არის და ალზას-ლოტარინგიაში ეს ენა ესმისთ, ამისთვის იქ ყოველგვარი საქმეების წარმოება და მსჯელობა პარლამენტში ამ ენაზედ უნდა იყოსო.

— რუსული გაზეთების ტელეგრამმებით ვტყობულობთ, რომ, როდესაც გერმანიის რეიხსტაღში ზოგიერთი დატუსაღებულების განთავისუფლებაზე ყოფილა მოლაპარაკება, ერთი დეპუტატი მმართებლობას ჰკიცხავდა თურმე, რომ ამ უკანასკნელ დროში ერთობ გაახშირეთ არესტებიო, მტყუანსა და მართალს, დიდკაცსა და პატარას არავის არ ზოგავთ, ყველას ატუსაღებთო. თ. ბისმარკს ამის თაობაზე უთქვამს, რომ კანონის წინაშე დიდი და პატარა ყველა ერთიაო, და თუ ვისმე ვატუსაღებთ, მხოლოთ იმისთვის, რომ სახელმწიფო კანონის წინააღმდეგ იქცევიანო.

## ესპანია

სამზღვარ გარეთელ გაზეთებს კარლისტებზე კარგი ამბები არ მოაქვთ. ამ უკანასკნელს დრო ისინი მმართებლობის (რესპუბლიკურ) ჯარებს რამდენსამე ალაგას დაუმარცხებიათ. მაგრამ თოფ-იარაღის დაყრას დონ-კარლოსის მომხრეები მაინც არ აპირებენ; ეხლა მთებში შეიმწყვდევიან, უეჭველია, და იქიდამ დაუწყებენ მმართებლობას შეწუხებას.

გაზეთები გვატყობინებენ, რომ საფრანგეთის მოღალატე ნამარშლევი—ბაზენი—ესპანიაში წასულა და მარშალ სერრანის ჯარში უნდა შევიდეს და კარლისტების დამშვიდებას დაეხმაროს. ამასთანავე თითქმის დარწმუნებით ამბობენ, რომ ბაზენსა და სერრანოს განზრახვა აქვთ, ჯერ ეს აჯანყებულები დაამშვიდონ და მერე, დონ-ალფონსის სასარგებლოთ, ესპანიაში მონარხიული რესტავრაცია მოახდინონო.

# სამართალი

## უ. ი. ლაზარევის საქმე

თამამშოვის ქარვასლის ცეცხლის-წაკიდებაზე

ამ თვის 18 და 19 თფილისის ოლქის სასამართლოში იყო გარჩევა საქმისა, რომელზედაც ამ უკანასკნელ დროს ქალაქში ძლიერ ბევრს ლაპარაკობდნენ. ჩვენ ვამბობთ თამამშოვის ქარვასლისა და თეატრის დაწვის თაობაზე.

გამომძიებამ აღმოაჩინა, რომ ცეცხლი თავისით ან შემთხვევით არ გაჩენია ამ შენობას. ზოგიერთ გარემოებამ და მოწმების ჩვენებამ დაარწმუნა გამომძიებელი, რომ ამ საქმეში ვაჭარი ლაზარევი უნდა ყოფილიყო დამნაშევე.

ეს გარემოებანი, გამამტყუნებელი აქტის სიტყვებით, არიან შემდეგნი:

1) ვაჭარს ლაზარევს მხოლოთ სამი თუ ოთხი ათასი მანეთის საქონელი ჰქონდა, მეტი არა; მაგრამ საზღვაო საზოგადოებაში კი ხუთმეტ ათას მანეთად ჰქონდა შეტანილი. მაშასადამე იმისთვის სამი-ოთხი ათასი მან-

თის საქონლის დაწვა და მის მაგივრად ხუთმეტი ათასი მანეთის მიღება სასარგებლო იქნებოდაო.

2) ცეცხლის გაჩენის წინათ, ლაზარევს, რაღაც მიზეზით, გაესტუმრებინა თავის შაგირდები და თვითონ მარტო დარჩენილიყო მაღაზიაში. შეჭველია, იმისთვისო, ამბობს გამატყუნებელი აქტი, რომ თავის ბოროტი განზრახვა სისრულეში მოეყვანაო.

3) პოლიციის ჩინოვნიკს თავის ხელიდამ წაძრობილი ბეჭედი შეაძლია, როცა სატუსაღოში მიჰყავდათო.

4) ცეცხლი პირველად იმის მაღაზიიდამ დაიწყოო, და სხ.

ამ საქმის თაობაზე თითქის ოთხმოცი მოწმე იყო გამოხმობილი, რომლისაც მომეტებულმა ნაწილმა ისეთი ჩვენება მისცა, რომელიც ლაზარევის სასარგებლო არ იყო.

ოლქის სასამართლოსაგან დანიშნულმა ბრალდებულის ვექილმა, უფ. ამატუნიმ, სხვათა შორის, შემდეგი მოსაზრებანი მოიყვანა ბრალმდებითი აქტის საბუთების დასარღვეველად:

მზღვეველი საზოგადოების წესდების ძალით, ცეცხლისაგან დაზიანებულს იმდენი კი არ მიეცემა, რამდენათაც საქონელი საზოგადოებაში შეტანილი ჰქონდა, არამედ მხოლოთ იმდენი, რამდენის საქონელი იმას დაეწვა. თუ ლაზარევს ოთხი ათასის საქონელი დაეწვა, საზოგადოება იმას ოთხი ათასს მანეთს მისცემდა და არა ხუთმეტ ათასს.

მოწმების ჩვენებით და სხვა ქაღალდებით სჩანს, რომ ლაზარევს სამი და ოთხი ათასის საქონელი კი არა, ათი ათასის ჰქონია, როდესაც თამამშოვის ქარვასლას ცეცხლი გაუჩნდა. ამას გარდა ლაზარევს შვიდი ათას მანეთზე მეტი ვალი ჰქონდა. მაშასადამე კიდეც რომ მიეღო ის 15 ათასი მანეთი საზღვეველი საზოგადოებიდამ, რა დარჩებოდა? თვითონ რას მოიგებდა? ერთი სიტყვით, ყველა ანგარიშები, რომელიც ბრალმდებით აქტშია მოყვანილი, მართალიც რომ იყოს, ლაზარევი თავის საქონლის დაწვით მაინც ვერავითარ სარგებელს ვერ ნახავდაო.

უფ. ამატუნიმ წარადგინა რამდენიმე მოწმობა, რომლიდამაც ჩნდა, რომ ლაზარევი პატიოსნად იქცეოდა ვაჭრობაში და ყველას სანდო კაცად მიაჩნდა.

ქარვასლის დაწვაში თუ ვინმე არის დამნაშავე, მხოლოდ ჩვენი პაჟარის კამანდაო, სთქვა უფ. ამატუნიმ, და არა სხვა ვინმეო. ლაზარევს კი მხოლოდ საზოგადოების ბრაზის დასაკმაყოფილებლად სწირავენო.

ცალკე ოთახში რჩევის შემდეგ, სასამართლო გამოვიდა ზალაში და განჩინება გამოაცხადა, რომლის ძალითაც ლაზარევი მტყუანად იცნეს და ცხრა წლიწადი კატორგაში მუშაობა და შემდეგ სამუდამოთ ციმბირში დასახლება გადაუწყვიტეს.

# ნარევი

ორს ნოემბერს ფრანგებმა მკვდრების მოხსენება იციან. პარიჟში ამ დღეს დიდი ამბავია: თითქმის მთელი ქალაქი სასაფლაოებზე მიდის და თავიანთ მიცვალებულების საფლავზე გვირგვინსა დასდებენ ხოლმე. ნაპოლეონის დროს სასაფლაოებზე რამდენჯერმე არეულობაც მომხდარა, როდესაც ხალხს თავისუფლებისა და საზოგადო საქმისთვის მიცვალებულების პატივის-ცემა განიზრახავს. ამბობენ, წელს სხვა და სხვა სასაფლაოებზე თითქმის ერთი მილიონი უკვდავების ყვავილის გვირგვინი დაუტოვებიათ თუ თავიანთი ნათესავებისა და თუ სხვა გამოჩენილი კაცების სახსენებლად.

სასაფლაოების ყარაულები ამბობენ, რომ ზოგიერთ საფლავზე ძაღლები მოდიან თურმე ყოველ დღე, რამდენსამე ხანს ზუიან და მერე ისევ შინ მიდიანო. ეს, რასაკვირველია, მიცვალებულების ძაღლები უნდა იყვნენო...

* * *

ამას წინათ ერთმა ხუთი-ექვსი წლის ყმაწვილმა კინაღამ თავის უცროსი ძმა არ დაკლა.

—ქასბობია ვითამაშოთო, უთხრა თურმე უფროსმა ძმამ.

— ვითამაშოთო! უპასუხა უცროსმა.

— აბა შენ ცხვარი იყავი და მე ყასაბი. დაწევი!

ყმაწვილი მართლაც დაწვა. ძმამ დანა აიღო და კარგა ლაზათიანად გაუსვა ყელში. სანამ სისხლი არ გამოჩნდა და ყვირილი არ დაიწყო, მანამ ხელი არ გაუშვა. ამბობენ, მძიმედ არ არის დაჭრილი, მალე მორჩებაო.

განცხადება გაუფრთხილებელი დედ-მამებისათვის...

* * *

ექვსი წლის წინათ პარიჟში გაიხსნა უმაღლესი შკოლა ქალებისათვის, სადაც საშუალ სასწავლებელში კურს შესრულებულ ახალგაზდა ქალებს სამშობლო ლიტერატურას, ისტორიას, ფიზიკას, ქიმიას, ბუნების მეცნიერებას და სხვა საგნებს ასწავლიდნენ.

ეს უმაღლესი სასწავლებელი, მთავრობისაგან კი არა, ზოგიერთი თანამგრძნობი მდიდარი კაცებისა და ქალებისაგან იყო დაფუძნებული. ომიანობის დროს, 1870 წ., ეს სასწავლებელი დაიკეტა, რადგან საფრანგეთსა და პარიჟს მაშინამის თავი არ ჰქონდა. ეხლა კი, როგორც ერთს ფრანცუზულ გაზეთში იწერებიან, ეს საქალებო უმაღლესი სასწავლებელი ხელახლად გაუხსნიათ და სწავლაც მალე დაიწყებაო. საუკეთესო პარიჟის პედაგოგებს იმის კარგათ წაყვანაში მონაწილეობა მიუღიათ.

* * *

იტალიისა და საფრანგეთის სამზღვარზე ამას წინათ ერთი მოგზაური დაუჭერიათ, რომელსაც ჯიბეში როშფორის პატარა ჟურნალის — „ფანარის“ ასი წიგნი უნახეს. ამ მოგზაურს უნდოდა თურმე ჩუმათ შეეპარებინა ეს ჟურნალი, რომელიც საფრანგეთში ამ ჟამად აკრძალულია.

* * *

„ფიგაროს“ მახვილობა:

ამ ჟამად პარიჟში ფრინველების გასასყიდლად განსაკუთრებულ ბაზარს აკეთებენ. აქ გაიყიდება სხვა და სხვა ქვეყნებიდამ მოყვანილი დაობლებული და დაქვრივებული თუთიყუშები, იადონი, ბულბული და სხვა ისეთი ფრინველი, რომელსაც ან თავიანთი სილამაზით, ან ლაპარაკით და ან სხვა რაიმე ღირსებით დაუმსახურებია ადამიანის ყურადღება და სიყვარული.

ერთი კარგი აზრი მომივიდა თავში:

— რატომ თუთიყუშებისათვის ცენზურას არ დააწესებენ?

* * *

ამას წინათ ერის ჯვრიან კაცს გული წაუვიდა ქუჩაზე და დაეცა. იმ წამსვე გამვლელ-გამომვლელნი მოეშველენ; გაუსხნეს პალტო, სერთუკზე ნახეს ჯვრის ლენტი, გაუხსნეს სერთუკი, ერთი ლენტიც ჟილეტზე ჰქონდა, გაუსხნეს ჟილეტი, პერანგზედაც ერთი ამისთანა ჯვრის ლენტი დახვდათ....

— ეს პერანგის ლენტი ჩემი ცოლის სასიამოვნოთ არის დაკერებულიო, სთქვა გულ-წასულმა კაცმა, რომელიც ამ დროს გონზე მოვიდა.

* * *

ნიუ-იორკის ეკკლესიაში წირვა იდგა; რადგანაც კვირა დღე იყო, ხალხი ბლომად მოსულიყო და, თავიანთებური წესის დაგვარად, თვითონ ხალხი გალობდა სხვა და სხვა საეკკლესიო პსალმუნებსა. როცა მლოცველთა სასოებით ამართეს მაღლა ღვთისაკენ ხელი და წარმოსთქვეს:

„მთხოვე სიცოცხლე, ჩემი სული,
მთხოვე, რაც გინდა!“

ამ დროს კათედრაზე წამომდგარმა მღვდელმა მოიხედა ხალხისაკენ და მლოცველ-მგალობლებს ღიმილით უთხრა:

— თქვენი სიტყვები მაკვირვებს! მითხრათ, თქვენ ყველამ რამდენი ჩადევით დღეს კრუშკაში და რამდენი შესწირეთ ღმერთს?—სამი მანეთი და ორი შაური!

* * *

შვეიცარიული განცხადების მინუში:

„ვის უნდა ქმარი?!

ახალგაზდა ვაჭარს, რომელსაც ერთს უმთავრესს შვეიცარიის ქალაქში ხუთი ათასი თუმნის შეძლება აქვს, ცოლის შერთვა ჰსურს. ოცდა ხუთი წლის არის, განათლებული, ზრდილობიანი; გამომეტყველი, მშვიდობიანი, სწორეთ საქმრო სახე აქვს. ჰსურს შეირთოს ახალგაზდა, კეთილშობილი ოჯახის ასული. მზითევს ცოტას დასჯერდება. რა ქვეყნიდამაც იყოს, სულ ერთია. საცოლო დარწმუნებული იყოს, რომ იმას წყნარი და შეუშფოთებელი ცხოვრება მოელის. ცოტას ვაჭრობაში დავიხმარებ. ფოტოგრაფიული კარტოჩკა ამ ადრესით გამოგზავნეთ: ციურიხს, №664, უფ. როლიფ მოსს.“

* * *



გვაქვს პატივი ცნობისა თფილისის საზოგადოებისა, რომ ჩვენ მიერ გახსნილ იქმნა მაღაზია ფორმის ქვეშ:

## «მ ა ღ ა ზ ი ა»

რუსეთის – ამერიკის ვაჭრობისა, ს. ბეთანელისა, ა. ვართანოვისა და კ.ᵒ

ამა მაღაზიაში ახლო ხანს მიღებულ იქმნენ წარმოებანი ამერიკის ფაბრიკებისა, რომელთა თანა ჩვენ ვიმყოფებით უპირველეს ვაჭრულ კავშირში. მსე ვითარი წარმოებანი არიან: მაშინა სარეცხის გასარეცხი და გასაწურავი, მაშინა ხორბლის, ქერის და სხვა დასათესი, ყავის ჰსწრაფათ დასაფქვავი-წისქვილები, სხვა და სხვა ნაირი ხერხები, ჩაქუჩები, კლიტეები, ფოლადის ნიჩბები და ორთითები, მაშინები ვაშლის გასაფცქვნელი, ალუბლის და ბალის კურკის გამოსაღები და სხვა და სხვა.

ყველა საგნებზე, რომელნიც არიან მაღაზიაში, ვითარც ნიმუშნი, ფასები აღნიშნულნი არიან შესაძლებ იაფნი; გარნა ესე ვითარნი ნიმუშნი არ იქნებიან განსყიდულ, ხოლო უკეთუ ვინმე ისურვებს რომელსამე ამ საგანთა ყიდვას, ანუ გამოწერას წერილად ვაჭრობისათვის, უმორჩილესად ვჰსთხოვთ ჩვენ შემოგვიკეთოს.

ზაკაზს, გინა მოთხოვნილებას მყოფი საგნებისას, ევრეთვე მათ, რომელნიც აღნიშნულ არიან მაღაზიის კატალოგში, გამოგზავნილ ფაბრიკანტების მიერ, ჩვენ აღვასრულებთ კეთილსინიდისით. რაიცა შეეხება საქონლის თვისებას და ხელოვნებას, ვინ არ უწყის სურვილი ამერიკელთა, მეცადინეთა, რათა რომ იყვნენ ყოველ ხელოვნებაში უპირველესნი და ქებულნი.

მ ა ღ ა ზ ი ა ჩვენი ი მ ყ ო ფ ე ბ ა ქ. თ ფ ი ლ ი ს შ ი, სასახლის ქუჩაში, არწრუნის ქარვასლაში, № 159.

| რკ.გზა. | დილა. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი . | 8 | 18 | 8 | 17 | | | | |
| მცხეთა. . . | 9 | 18 | 10 | — | - | 68 | - | 38 |
| გორი . . | 11 | 39 | 1 | 43 | 2 | 40 | 1 | 23 |
| სურამი . . | 1 | 52 | 4 | 30 | 3 | 92 | 2 | 18 |
| ბექათუბანი | 3 | 45 | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| ყვირილა . | 6 | 49 | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| ქუთაისი. . | 7 | 55 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია . | 9 | 2 | | | 7 | 73 | 4 | 29 |
| ახ.-სენაკი . | 10 | | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი. . . | 11 | | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთი . . | 7 | 38 | | | | | | |
| ახ.-სენაკი. | 9 | 11 | | | 1 | 18 | - | 66 |
| სამტრედია. | 10 | 12 | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| ქუთაისი . | 11 | 17 | | | 3 | 4 | 1 | 69 |
| ყვირილნ. . | 12 | 38 | | | 3 | 98 | 2 | 21 |
| ბექათუბანი | 3 | 27 | დილა | | 5 | 33 | 2 | 96 |
| სურამი . . | 4 | 57 | 7 | 35 | 5 | 84 | 3 | 24 |
| გორი . . | 7 | 23 | 10 | 12 | 7 | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა . . | 9 | 52 | 1 | 49 | 9 | 8 | 5 | 4 |
| თფილისი . | 10 | 49 | 3 | 32 | 9 | 75 | 5 | 42 |

**ცეცხლის გემები**

ა) ფოთიდამ:
ოდესისკენ — კვირა საღამ. 6 საათ.
სტამბოლს — კვირაობით დილას.

ბ) სოხუმიდამ:
ფოთს — ორშაბათს, ღამით.
ოდესას — სამშაბათს, გათენებისას.

გ) ბაქოდამ:
ასტრახნისკენ — სამშ. ხუთშ. დილ.
ასტრაბადისკენ — კვირა შუაღამეს.

| ტელეგრაფი | მ. | კაპ |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა თფილისიდამ: | | |
| ქუთაისს, ფოთს . . | 1 | — |
| გორს, დუშეთს, სიღნახს | | 50 |
| როსტოვს ოდესას მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურგს, ვარშავას . . | 3 | — |
| სპარსეთში . . . . . . | 5 | 76 |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში. | 3 | 50 |
| ინგლისში . . . . . . | 4 | — |

**ფოშტა**

ა) თ ფ ი ლ ი ს ი დ ა მ:
სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს — ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ოთხშ., ოზურგეთს — პარასკ და ორშაბ. ბაქოს — ორშ. სამშაფ. და შაბ. კახეთს — სამშ. და შაბ.

ბ) ქ უ თ ა ი ს ი დ ა მ:
ყოველგან — ორშაბ. ამას გარდა თფილისს და რუსეთს — ოთხშაბ. და პარასკ. ფოთს და სოხუმს — ხუთშაბ. და შაბათ. (საღამომდი.)

გ) გ ო რ ი დ ა მ.
ყოველგან — ორშაბ. ოთხშაბ. და პარასკეობით (საღამოს შვიდ საათამდე.)

დ) ფ ო თ ი დ ა მ:
ყოველგან — ყოველ დღე.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში: | კაპ |
|---|---|
| ლია წიგნის . . . . . . . | 5 |
| დაბეჭდილის (სამი მისხალი) . | 10 |

| ბირჟა | მან. | კაპ |
|---|---|---|
| პეტერბურგი, 1 ოკტომბ. | | |
| ერთი მანეთი ღირს: | | |
| ლონდონში 33½ პენსი. | — | 84 |
| პარიჟში 351 სანტიმი. | — | 89 |
| ესკონტი (სარგებლისფასი) | 6 | — |
| ბანკის ბილეთი 5% | 98 | |
| მოგებიანი (პირველისესხი) | 180 | 75 |
| მოგებიანი (მეორე სესხი) | 175 | 95 |
| გირაოს ფურცლები: | | |
| ხერსონის ბანკის (5½) | 83 | 75 |
| მოსკოვის (5%). . . | 8[illegible] | 50 |
| ა ქ ც ი ე ბ ი: | | |
| ოდესის სავაჭრო ბანკის. | 230 | — |
| ფოთი-თფილ. რკინ. გზის | 132 | 50 |
| შავიზღვის ცეცხ. გემების | 560 | — |
| კავკაზის და მერკურის. . | 168 | — |
| პირვ. უზრუნვ. მყოფი საზ. | 665 | — |
| პეტერბ. უზრ. მყოფი საზ. | 263 | — |
| მოსკოვის უზრ. მყოფი საზ. | 257 | 65 |

| მაზანდა | მან | კაპ |
|---|---|---|
| თფილისი, 14 ნოემ. | | |
| პური ბანჯისა . . | 1 | 10 |
| ქერი. . . . . | — | 65 |
| ბამბა ერევნისა . . | 4 | 50 |
| — ამერიკისა . | 6 | 80 |
| ბაპენტილი ბამბა . | 8 | — |
| მატყლი თუშური . | 6 | — |
| — თარაქამისა . | 3 | 80 |
| აბრეშუმი ნუხური . | 3 | — |
| ქონი . . . . | 4 | 50 |
| ქონის სანთელი . . | 6 | — |
| სტეარინის სანთელი . | 10 | 30 |
| ხორცი ძროხისა . | — | 45 |
| — ცხვრისა . . | — | 55 |
| სპირტი . . . . | 7 | — |
| შაქარი კარგი . . | 8 | 60 |
| — ფხვნილი . . | 7 | |
| ყავა გრგვალი . | 19 | 50 |
| ზეთი ქუნჯუთისა . | 6 | — |
| ოქრო . . . | 5 | 95 |

**„დროების“ ფოშტა**

— უფ. თ. კ—ს, გ—ს. გაზეთის ფასის გამოგზავნა საჭირო არ არის, თანამშრომელი ხართ. გაზეთს ახალის ადრესით მიიღებთ. თქვენს უკანასკნელ კორრესპონდენციას ამ ნომერში მხოლოთ უადგილობის გამო ვერ ვბეჭდავთ.

— რ ო მ ე ლ ი მ ე ს. თქვენგან გამოგზავნილი სტატია ისეთ ნაირად არის დაწერილი, რომ ვერა გავიგეთ რა, თუმცა ხელნაწერების კითხვაში გაწრთვნილი ვართ.

— უფ. გ—ს. თქვენი სტატია „ცოლ-ქმრობის შეუღლებაზე“ ვერ იბეჭდება, რადგან ამ გვარი სტატიები ერთობ ბევრი დაბეჭდილა.

— უფ. ლ—ეს. ყ-ს. ბ—ია ლ—ი ჩვენს ხელის-მომწერლების სიაში არ ურევია; მაშ. სადამე არც ის სჩანს, ფული შემოუტანია თუ არა, ან თუ გაზეთი მიდის. წერილს მიიღებთ.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 22 Ноября 1874 г. Типографія Меликова и К°. გამომცემელნი ს. მელიქიშვილი და ს. მესხი. რედაქტორი ს. მესხი.